

„ღამისთევა ფინეგანისათვის“ ბეჩქსა თაჰის
თარგმანის სირთულეები

CERTAIN DIFFICULTIES OF TRANSLATING CHAPTER VI
OF FINNEGANS WAKE

თამარ გელაშვილი

Tamar Gelashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ჯოისი, ღამისთევა ფინეგანისათვის,
თარგმანი, ქართული

Keywords: Joyce, Finnegans Wake, Translation, Georgian

ჯეიმზ ჯოისის „ღამისთევა ფინეგანისათვის“ „უთარგმნელ“ ნაწარმოებადაა მიჩნეული და ეს, თითქოს, ერთგვარ კლიშედაც კი იქცა. უმბერტო ეკომ იხუმრა კიდევ, რომ ეს ნაწარმოები უკვე თარგმნილია, თავისი მრავალენოვანობიდან გამომდინარე, და ამიტომ მისი თარგმნა „უაზრობაა“. მიუხედავად ამისა, მთარგმნელები მაინც არ უშინდებიან ამ რომანის თარგმნასთან დაკავშირებულ სირთულეებს და „ღამისთევა ფინეგანისათვის“ არა მხოლოდ ევროპულ ენებზე ითარგმნება, არამედ აზიური ქვეყნების (თურქეთი, ჩინეთი, იაპონია) დიდ დაინტერესებასაც იწვევს.

სტატიაში განხილულია ის პრობლემები, რომლებიც „ღამისთევა ფინეგანისათვის“ წიგნი I-ის მეექვსე თავის ქართულად თარგმნას შეეხება. თავი თორმეტი კითხვისა და პასუხისაგან შედგება, რომელშიც ჯეიმზ ჯოისი ეზოპეს ცნობილი იგავის – „მელიისა და ყურძნის“ საინტერესო გარდასახვის გარდა, ვხვდებით გასტრონომიული აჭანყებასაც, – „ბურუსისა“ და „კეისიუსის“ ბრძოლა იულიუს „ჩეიზარის“ წინააღმდეგ „მარგარინასათვის“.

რომანის ქართულად თარგმნის პროცესში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ენობრივ სირთულეს უკავია: პირველ ყოვლისა, ქართული ქართველურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება თავის მონათესავე მეგრულ, ლაზურ და სვანურ ენებთან ერთად, შესაბამისად, რიგ შემთხვევებში საკმაოდ რთულია, ადეკვატურად გადმოიტანო ის სიტყვებით თამაში, რასაც ჯოისი ინდოევროპული ენების გამოყენებით აღწევს. ამას გარდა, ქართულში ნაცვალსახელებს (პირის, კუთხვნილების) სქესი არ გააჩნია, ჯოისისათვის კი სქესის განსაზღვრა არსებით საკითხს წამოადგენდა, რაც წინაღობებს ქმნის ნაწარმოების თარგმნისას. ამასთანავე, როცა ჯოისი სხვადასხვა ევროპული ენის გაერთიანებით ახალ სიტყვებს იგონებს, ამ სიტყვათა გადმოქართულების პროცესი ძნელია. მაგალითად სიტყვა „grandsumer“ (FW 152:21), რომელშიც „sumer“ თავის თავში შუმერსაც და ზაფხულსაც მოიცავს. ანუ ისეთი სიტყვის გამოგონება გინევს, რომელიც ქართველი მკითხველისათვის გასაგები იქნება.

სირთულეს წარმოადგენს ისიც, რომ ჯეიმზ ჯოისმა რომანით „ღამისთევა ფინეგანისათვის“ მრავალშრიანი, ინტერტექსტუალური ნაწარმოები შექმნა, რომელშიც ყოველი პერსონაჟი ლიტერტურულ და მითოლოგიურ ტექსტში არსებულ გმირთა კრებით სახეს

წარმოადგენს, ხოლო ესა თუ ის მოვლენა ერთჯეროვანი ხდომილება კი არ არის, არამედ ციკლურად განმეორებადი და, ამრიგად, მარადიული. მიუხედავად რომანის გარშემო არსებული არაერთი შენიშვნისა, ყოველივე კი თარგმნის პროცესს თავისებურად რთულსა და საინტერესოს ხდის.

ფრიც ზენი ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს „ლამისთევა ფინეგანისათვის“ უთარგმნელობის საკითხს და მას „ერთგვარ ბეკეტისებრ სინდრომს უწოდებს: შეიძლება ხელი მოგეცაროს, მაგრამ უკეთესად!“ შესაბამისად, იმედს ვიტოვებ, რომ „ლამისთევა ფინეგანისათვის“ ქართული თარგმანი კიდევ ერთი მცდელობაა, შესაძლო „მარცხისა“, მაგრამ სხვა ენაში და სხვაგვარად.

ლიტერატურა:

- დე მანი, პ.** (1985). უოლტერ ბენტამენის მთარგმნელის ამოცანებზე. იელის ფრანგული კვლევები, N69.
- ბენტამენი, უ.** (2010). მთარგმნელის ამოცანები. ილუმინაცია. ნიუ იორკი: შოკენის წიგნები.
- ფორდჰეიმი, ფ.** (2007). ბევრი მხიარულება ლამისთევა ფინეგანისათვის. ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ოქსფორდი, დიდი ბრიტანეთი.
- ჯოისი, ჯ.** (2012). წიგნი: ლამისთევა ფინეგანისათვის, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ოქსფორდი, დიდი ბრიტანეთი.
- ზენი, ფ.** (2010). ინტერვიუ, ირლანდიის ლიტერატურული დამატება, ტომი 34, II, მარტი.
- ზენი, ფ.** (2015). ტრანსმუტაციური გადახვევები, ჯეიმზ ჯოისის კვარტალური ჟურნალი, გაზაფხულის ნომერი.

The notion that *Finnegans Wake* is “untranslatable” has become something of a cliché in Joyce scholarship. Umberto Eco even claimed that *Finnegans Wake* is “pointless to translate” because, by virtue (or vice) of its multilingualism, it is already translated. Nevertheless, *Finnegans Wake* has been translated into numerous languages.

The paper deals with the difficulties of translating Chapter Six of Book I in *Finnegans Wake* into Georgian. The chapter consisting of twelve ques-

tions and answers, including James Joyce's peculiar and hilarious re-telling of Aesop's ancient fable of 'The Fox and the Grapes', as well as how Burrus and Caseous "sort-of-nineknived and chewly removed Cheesugh".

One of the core difficulties while translating *Finnegans Wake* is the language, as Georgian does not belong to the family of Indo-European languages, thus while Joyce is trying to make a pun using different languages or nations or traditions, which make perfect sense it is quite challenging in Georgian. For example, the word "grandsumer" (FW 152:21), where "sumer" can be understood as Sumerians as well as summer, whereas in Georgian Sumerian is "Shumeri" and summer "Zapkhuri", and therefore the translators task is to find an adequate translation – or namely to invent a new word that will fit in Georgian.

Another difficulty despite the numerous and extensive material and commentaries on *Finnegans Wake* doing commentaries is still rather hard work, because it is an attempt to show the Georgian readers, what is in the original and how it is being transformed in the translation.

As Fritz Senn wisely put it "FW is impossible to translate and therefore it has to be attempted. A sort of Beckett syndrome: Try to fail better!" Therefore, the Georgian translation of *Finnegans Wake* is an attempt to fail, but fail better in another language.

References:

- De Mann, P.** (1985). On Walter Benjamin's The Task of the Translator. *Yale French Studies*, No. 69.
- Benjamin, W.** (1968). *The Task of the Translator*. Illuminations. New York: Schocken Books.
- Fordham, F.** (2007). *Lots of Fun at Finnegans Wake*. Oxford University Press, Oxford: UK. Joyce, J. (2012). *Finnegans Wake*. Oxford University Press, Oxford: UK.
- Senn, F.** (2010). Transmutation in Disgress, *James Joyce Quarterly*, Summer.
- Senn, F.** (2015). Interview, *Irish Literary Supplement*, Volume 34, Number 2, 1 March.